ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 ოთხშაბათი, 6 დეკემბერი № 1319

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი № 372.**

გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(ცალკე)

ღირს წელიწადში 6 მანეთი

თვეში 75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ჟურნალი „მოამბის" წლიურ ხელის მომწერელს „ცნობის ფურცელი" გაეგზავნება უფასოთ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 დეკემბერს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ქ-ნნი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, რენელის და ვ. გუნიას მონაწილეობით

ბენეფისი ეფ. ს. მესხისა

წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

I.

შენდობა

ანუ **დენიზა**

დრამა 4 მოქმედებათ ა. დიუმასი, თარგმ. კ. მესხის მიერ.

II.

ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმედებათ ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერჯისა, გარელი. ბ-ნნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ჭრუშაძე და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა მულდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. მატილოვი—თვალისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი

ქალაქის საქმეები

ახლო გატეხილია და გუთნეებს მაისში გაიტანენ. ჩვენ ვამბობთ ქალაქის მომავალ არჩევნების შესახებ. ახლად შეცვლილმა საქალაქო დებულებამ მოსპო ხარისხებითი კრება ხმოსნების ასარჩევად და შემოიღო არჩევნები ან ერთ კრებაზე მიუხედავად იმისა, რა გადასახადს იხდის ამრჩეველი, ან ნაწილ-ნაწილად დაყოფილ კრებებზე. 1893 წლის არჩევნებმა ცხარე ბრძოლა გამოიწვია ტფილისის მცხოვრებთა შორის. მიზეზი თავის დროზე იყო აღნიშნული და ამისათვის, ასაცილებლად ამავე უსიამოვნებისა, ტფილისის მმართველობას 1897 წლის არჩევნები ისე უნდა მოეწყო, რომ არ გამოეწვია ტფილისში მცხოვრებთა სხვა-და სხვა ერთა შორის გამწვავებული და ერთი-ერთმანეთის შემაძულებელი დამოკიდებულება. მაგრამ მაშინდელ საბჭოს უმრავლესობას არამც თუ აინუნშიაც არ მოსდიოდა მომავალი გამწვავება, არამედ თითქო ეს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ერთი ერის გასაბედნიერებლად. კარგად კი რომ დაუკვირდეთ, არც ესე იყო და არც ისე. იყო მხოლოდ ის, რომ კუჭ-გამაძღარს ჯგუფს დიდი სურვილი ჰქონდა და აქვს ყველა საზოგადო დაწესებულებაში თვით ჩადგას ფეხი და ხელი მოითბოს. ეს იყო უმთავრესი აზრი მათი და ამის განსახორციელებლად მიჰმართა უზნეო საშუალებას—ერთი ერი შეაძულა მეორეს, გამოიწვია ერთა ბრძოლა და იქამდე მიიყვანა, რომ დაავიწყებინა ყოველივე მართებულება, სიფაქიზე, რომლებიც ასე საჭირო არჩევანებში, რათა არჩეულ იქმნენ ღირსნი საქმის სათავეში დასაყენებლად. ამით აიხსნება, რომ ამრჩევლები, განურჩევლად პირისა და მის საზოგადო მოღვაწეობისა, ირჩევდნენ მხოლოდ იმ პირთ, ვინც კუჭ-გამაძღარ უმართებულო ჯგუფის ბრძანებით იქმნენ მოქცეულნი წვრილ სიებში, რომლებიც დიურიგეს ბრმა ამრჩევლებს. იმ ჯგუფმა მაშინ ესეც არ იკმარა და

ფელეტონი

სასცენო სურათები

ქალაქელების ცხოვრებიდან.

პირველი.

(სცენა: ორთაჭალაში ბაღი მტკვრის პირას. მოსჩანს ბაღები და მტკვარი. წინ სცენაზე ორსავე მხრივ ხეებს ქვეშ გძელი ბალის სკამები სდგას და უზრალო სტოლები. მარცხნივ დუქანია. შორიდან ისმის დუდუკზე სიმღერა: „შაჰნაზი").

1 სანახავი.

(სირაჯი ლაზრუა და ყაზაზ ნიკოლა შემოდიან ლაპარაკით).

ნიკოლა. ვა, მაშ! . გეუბნები-მეთქი! ერთიც ნახამ, თუ რა გემოვნება მქონია! (დუქნისკენ გასძახებს.) თათოჯან, თათო! ძმობილო!

ხმა. ჰაჯან, გენაცვალე? ნიკოლჯან, შენა?

ნიკოლა. ჰო, მე. აბა ლოთიანად ბიჭი გამოაქციე!

ხმა. ეხლავე, გენაცვა, ეხლავე!.. ბიჭო, მაქრო! მიხედე მალე! აბა მორჩი! მარდათ!

ნიკოლა (ლაზრუას.) ერთხელაც მითქომს შენთვის, დიდი ხანია, მაგ ყმაწვილზე თვალი მიჭირავს. ბიჭია, რომ დავი არა მაქვს, ასლი საჩვენო...

ლაზრუა. ჰო, მინახამს.. აქებენ კიდეც, ღმერთისა წინაშე, კარგი ნასწავლი ყმაწვილია...

ნიკოლა. ნასწავლი და ეგრე! კაცს მთელი ევროპიის სკოლები დაუვლია!

ლაზრუა (დაცინვით.) მერე ეგ რა გამოვიდა? დაუვლია რა, იქმნება ყველგან აგდებდნენ; ეგრე ხომ მეც დაუვლი სკოლებს!

ნიკოლა. (ცხარედ.) არა, არა! მამი-ჩემის სული არ წამიწყნდება! აგდებდნენ რომელია, შე მამაცხონებულო!.. ახარ, ერთი რომ არ იკმარა, მეორეში შევიდა, უფრო დიდ სკოლაში. ყველგანაც გაუთავებია!.. კაცი პირველი ადვოკატია! მუქთად კი არ ურიგებენ ამისთანა ხარისხს!

ლაზრუა. ეჰ, კარგია, მამა გიცხონდა! ადვაკატი კოკორ პეტროვიჩი კი არ არის!

ნიკოლა. ვაიმე, ვაიმე! მაშ ისა და ის ერთია? ის რომ არის, არის...

ლაზრუა. ძალიან კარგი, ეგრე იყოს. ახლა რა გიფიქრია?

ნიკოლა. რა მიფიქრია და ეხლა უნდა გადაწყდეს საქმე: მე მაგას ვურიგებ ჩემ ბიძაშვილს და შენ დისწულს—სიდუას...

ბიჭი. (შემოდის ყარაჩუღული დოშლუღით მორთული.) რა გნებავთ?

ნიკოლა. ბებია შენის გამამცხვარი! შე შეითნის შვილო, ეხლა მკითხავ, რა გნებავსო? ძალიან კი მოგვესწრობა, თუ ჯერ არაფერია მზად!.. თათუასთვინ მითქომს ყველაფერი. შენ ხელად სუფრა გადაფინე აი აქ! (აჩვენებს). აბა, მორჩი, მალე! აქ დაჰკარ ფეხი და იქ ამოვარდი! გასწი!

ბიჭი. რამტოლი პრიბოლი იყოს?

ნიკოლა (თითებზედ ითვლის). ხუთი... ექვსი რაღა! იქნება კიდევ ვინმე ძმა ბიჭი შემოგვესწროს, რა ვიცი...

ბიჭი. ამ ნიმუტში! (ხტუნაობით გარბის).

ნიკოლა. ღვინო ცივი იყოს, ბიჭო!

ბიჭი. ბატონი ბძანდები! (უცბად გამობრუნდება). ღვინო თეთრი თუ წითელი?

ნიკოლა. ორივე, მომშორდი!.. მოიცა! დუდუკი ვისია? მერე ჩვენთვის უთხარი. (ბიჭი გარბის, შემოაქვს სუფრა, გაშლის ზედ ხორაგს და ღვინოებს ალაგებს).

ლაზრუა. სანამ ყმაწვილები მოვლენ, აი აქ ჩამოვსხდეთ. (სკამზე ჩამოსხდებიან).

ნიკოლა. ჰო, იმას ვამბობდი... ეგ ყმაწვილი გავიცანი, იცი როდის? ჩვენი სანდალას საქმე რომ გაირჩა სასამართლოში.

ლაზრუა. აბა სანდალა?

ნიკოლა. აი, ჩვენი ქაჩალას დისწული... ზენუას შვილი რაღა!.. ოჰო, ჰო, ჰო! რა ილაპარაკა! რა ილაპარაკა, რომ... მთელი სუდი ჩუმათ იყო და ყურს უგდებდა. მაშინვე თვალში მომივიდა: ვთქვი, თუ ჩვენი სიდუასთვის ძალიან ფარდი იქნება მეთქი. ერთხელ ორჯელ სიტყვაც გადავუკარ და, ცოტა არ იყოს, დამყვა. მერე თელეთობას სიდუა დავანახვე და ძალიან მოიწონა...

ლაზრუა. (ჩაფიქრებული). ეგ ყველა კარგი, მაგრამ რა ხელს მოგვცემს მაგ ხალხის აყოლა? რა ჩვენი საქმეა? ყველამ თავისი ტოლი და ამხანაგი უნდა მონახოს; მაღალი ფარდების ხალხი ჩვენ არ გამოგვადგება. ჩვენ ჩვენისთანა ვაჭარი კაცი გვინდა, რა ჩვენი საქმეა განათლებული სიძეები!

ნიკოლა. ვაიმე, ვაიმე! ლაზროჯან, რეებს ამბობ? ქვეყანა განათლებისაკენ იწევს და ჩვენ რაღა ვართ? მერე ეხლა რა დრო და-

თაის ხარჯით მიჰყავდა ეტლებით ყურმოჭრილნი ყმანი-ამრჩეველნი.

მკითხველისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ ის უმრავლესობა ამრჩეველთა, რომელნიც გახდნენ, სამწუხაროდ, არჩევნების ბედ-ილბალის გადამწყვეტნი, იყვნენ ვაჭრები, ის ვაჭრები, რომელთა ბედ-ილბალი, მომავალი სწორედ იმათ ხელშია, ვინც შეადგენდა მმართველ ჯგუფს. ამის მხილველნი საბჭოს წარსულ კრებაზე ხმამაღლა არწმუნებდნენ საბჭოს, რომ ისევ ძველი წესი დარჩენილიყო არჩევნებისა, რომლის დროსაც უფრო ადვილი იქმნებოდა თარეში. ხმოსანმა ქოჩორიანცმა არ დაირცხვინა და ხმა-მაღლა ღაღად ჰყო ის აზრი, რომ ჩვენ თუ მარტო ჩვენთვის ვცდილობთ (სოლოლაკელებისათვის), ჩვენთვის ვზრუნავთ, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენ ყველაზე მეტს გადასახადს ვიხდითო.

და განა მარტო ქოჩორიანცია ამ აზრისა? ქოჩორიანცმა, როგორც სხვაზედ ნაკლებად ფრთხილმა, წამოროშა ის, რაც გულში დიდი ხანია ჩათესლილი აქვს, თორემ საბჭოში ბევრნი იყვნენ ამავე აზრისანი. ხოლო როგორც მეტად ფრთხილნი და გამოცდილნი, საქმეს სხვა გვარად უვლიდნენ და საბჭოს იმითი აშინებდნენ, რომ თუ ნაწილ-ნაწილად დაიყოფებიან ამომრჩეველნი, განათლებულთა რიცხვი საბჭოში ნაკლები იქნებაო. საიდან სადაო! ვითომ რად უნდა იყოს ასე?!განა არჩევნების ძალა მხოლოდ მედუქნეებმა დ ვაჭრებმა იციან? ვისთვის არის საიდუმლო,რომ წარსულ არჩევნებში სამი მეოთხედი ამომრჩევლებისა სულ დაბალი ვაჭრები იყვნენ?! ვაჲ დროებავ, რა რიგად შეიცვალე! განა ვერასა და კუკიაში, ან სხვა განაპირა უბანში არ მოიპოვება განათლებული ხალხი? განა ამათ ვაჭრებზე ნაკლებ იციან თავიანთი მოვალეობა, იმ ვაჭრებზე ნაკლებ, რომლებიც ყურ-მოჭრილი ყმანი არიან გროშისა?...

დრო-გამოშვებით ჩვენ ვესაუბრებით მკითხველთ ქალაქის საქმეების შესახებ და მაშინ ვეცდებით ვაჩვენოთ მათ, თუ ვისგან უნდა ელოდეს ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა ნამდვილ პატრონობას.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

4 დეკემბერი.

შანჰაი. იმპერატორმა ბრძანა შეადგინონ ახალი ვექილობა ლიხუნჩანგისა და ცინისათვის, ასე რომ ამათ შეძლება ექნებათ მოლაპარაკება გამართონ მოკავშირეებთან. მათ მიეცათ ნება მოიხმარონ იმპერატორის ბეჭედი, რომელიც პეკინშია დატოვებული.

შანჰაი. ჩრდილოეთიდან მოსული დეპეშები იტყობინებიან, რომ პეკინისა და ტიანძინის ახლო ისევ განახლდა მოკრივეთა მოძრაობა. ჰფიქრობენ, რომ ზოგიერთი უცხოელები, შანჰაის მმართველის ჩუმის ნებართვით, კიდევ ვაჭრობენ საომარ იარაღით.

ფრანკფურტი-მაინზე. ტიანძინიდან იტყობინებიან, რომ მეხუთე პოლკის სადგომი, სადაც პირველ ოქტომბრიდან შვიდამდე გერმანელები იყვნენ, დაიწვა იმ დროს, როცა პოლკი ლაშქრად იყო წასული.

ბერლინი. გემის „გეიზენაუს“ დაღუპვის შესახებ მოსულა შემდეგი ოფიციალური ცნობები. გერმანიის კონსული მალაგაში პრიხი დეპეშით იტყობინება, ვასრულებ სამწუხარო მოვალეობას და გატყობინებთ, რომ სამოსწავლო გემი „გნეიზენაუ“, რომელიც გასული იყო ნავთსადგურს გარეთ სავარჯიშოდ დილის 10 საათზე ძლიერის ქარიშხლის მიზეზით, დაეტაკა ნავთსადგურის აღმოსავლეთის კედელს და დაიმსხვრა. მე ვშიშობ, რომ ბევრი დაიღუპა, ამათ რიცხვში გემის უფროსი კრეჩმანიც. კაპიტან-ლეიტენანტი ვერნერი, გადარჩენილთა შორის უფროსი აფიცერი, იტყობინება: „მალაგის ნავთსადგურში ავარია მოგვიხდა. გემი სრულებით დაიღუპა. ეკიპაჟის მეტი ნაწილი გადარჩა; დაღუპულთა ძებნა ჯერ არ შეგვიწყვეტია“. ვერნერს გაეგზავნა მიწერილობა დაუყოვნებლივ შემოთვალოს დაღუპულთა სახელები.

(საღამოს დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე).

ყურნალ-გაზეთებიდან

∝ ბურების აწინდელ მდგომარეობაზე და სამხედრო საქმეების მსვლელობაზე სამხრეთ-აფრიკაში შემდეგს იწერებიან ბერლინის გაზეთებში მარსელიდან:

«მარსელში მოვიდა პრეზიდენტ შტეინის ადიუტანტი, მეიერბახ გაზერტა, რომელიც პრეზიდენტ კრიუგერთან არის გამოგზავნილი სადიპლომატო საქმეებზედ მოსალაპარაკებლად.

გაზერტა ირწმუნება, რომ ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის მხედრობა არასოდეს არა ყოფილა ისე კარგად მოწყობილი, როგორც ეხლა. ბურებს ეხლა გუნებაშიაც არ უდევთ დამორჩილება: მთავრობის ბინა შტეინმა გადაიტანა ფურნსბურგში და მოხელეები ისევ ისე წინანდებურად განაგებენ და ჰმართავენ ქვეყანას. მტკიცე და შეურყეველი იმედი გამარჯვებისა ორანჟეს რესპუბლიკიდან გადაედოთ კაპის ახალშენის მოსახლეობას და აფრიკანდერებსაც. ინგლისელი ჯარისკაცების მხეცურმა ქცევამ აადელვა საზოგადოება.

ბურებმა გარდასწყვიტეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდნენ ზავის ჩამოგდებას, თუ დამოუკიდებლობა და ავტონომია ორივე რესპუბლიკებისა ხელშეუხებელი დარჩება. ისინი თხოულობენ, რომ მათ მიეცეთ უფლება მუდმივი ჯარის ყოლისა, და თუ ამის უარი უთხრეს, მაშინ ბურები იბრძოლებენ, სანამ პირში სული უდგიათ.

გაზერტა ამბობს, რომ პრეზიდენტი კრიუგერი ექვს თვეზე მეტს არ დარჩება ევროპაში. მარსელიდან გაზერტა წავა პარიზში, სადაც იგი კრიუგერის ბრძანებებსა და პასუხებს მოუცდის.

∝ სრული სიჩუმე ჰსუფევს ამ ჟამად შესახებ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების ბედისა და მისი გადაწყვეტისა.

გაზეთი «ნაციონალ ცაიტუნგის» სიტყვით ეს სიჩუმე არ დაირღვევა, სანამ პრეზიდენტი კრიუგერი რუსეთში არ წავა, ყოველ შემთხვევაში კრიუგერი და მისი დაახლოვებულნი სრულებით არ დაცემულან სულით იმ მარცხის გამო, რომელიც მათ გერმანიაში მოუვიდათ; პირიქით, მათ იმედი აქვთ კიდევ ერთი დიდი სახელმწიფოს დახმარებისა. არც თუ გააგაში გაჰცრუებია კრიუგერს იმედები. ჰოლანდიაში, როგორც ეტყობა, უნდოდათ სამხრეთ-აფრიკის საქმის გადადება იმ დრომდე, სანამ დედოფალი ვილჰელმინა ჯვარს დაიწერდა, ესე იგი მომავალი თებერვლის დამდეგამდე. ხელმძღვანელ წრეებში დიდი იმედი აქვთ რუსეთის მფარველობისა. ყველამ ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებას: ამას წინათ დედოფალმა ისეირნა ახდილი ეტლით და სეირნობისათვის სწორედ ის ქუჩები აირჩია, რომელნიც ტრანსვაალის მრავალი დროშებით იყვნენ მორთულნი.

∝ გაზეთ «ეხო დე პარისა»-ს ატყობინებენ გააგიდან, რომ პრეზიდენტ კრიუგერის სასახლეში მიღების დროს, დედოფალ ვილჰელმინას დედამ, დედოფალმა ემმამ, მიჰმართა კრიუგერს შემდეგის სიტყვებით:

«იქონიეთ იმედი ღვთისა, რომელიც გაუწევს მფარველობას თქვენს ერსა და მისს საქმეს. მე დაგიმტკიცებთ ჩემს მეგობრობას, როდესაც საამისოდ მარჯვე დრო დადგება, მაგრამ ეხლა კი ვერა».

პრეზიდენტმა კრიუგერმა უპასუხა დედოფალს:

«მე იმედი მაქვს თქვენის შეწყობისა და მოთმინებით ვიცდი, რადგანაც მე მინდობილი ვარ ღვთის სამართალზე და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი საქმე ალალი და სწორე საქმეა».

∝ პრეზიდენტ კრიუგერის გააგაში ყოფნის გამო იქ მოგროვდნენ დიდ-ძალი კორესპონდენტები ინგლისურ გაზეთებისა. ესენი მოურიდებლად ავრცელებენ ყოველ-ნაირ ცრუ ცნობებს ტრანსვაალის პრეზიდენტის განზრახვათა შესახებ.

«არავის არ უნდა სჯეროდეს ლონდონის გაზეთების ცნობებით,—ამბობს პარიზის გაზეთი «ტან»-ი,—ასე, რამდენიმე ინგლისურ გაზეთს სწერენ გააგიდან, რომ ვითომც პრეზიდენტი კრიუგერი ცდილობს მოახერხოს ლორდ სოლსბერის ნახვა. ლონდონის სხვა გაზეთები ირწმუნებიან, რომ კრიუგერი აღარ ჰფიქრობს ევროპის დანარჩენი სატახტო ქალაქის ნახვასაო; მას აღარც სამედიატორო სამართლის იმედი აქვსო».

∝ «ტაიმსი» ირწმუნება, ვითომ რუსეთის მთავრობამაც უარი შეუთვალა კრიუგერს მიღებაზედაო. ამ გაზეთის სიტყვით, «პარასკევს საღამოს კრიუგერმა მიიღო ლივადიიდან დეპეშა, რომელიც მეგობრულ კილოზედ იყო დაწერილი. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ დეპეშის შინაარსს არავის უმხელენ, საკმაოდ ამტკიცებს, რომ რუსეთის მთავრობასაც არა სწადიან დახმარება გაუწიოს ტრანსვაალს».

ახალი ამბავი

✦ დღეს, 6 დეკემბერს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი.

✦ დღეს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, კავკასიის მთავარმართებელს ექნება ნადიმი, რომელზედაც მიწვეულნი არიან სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა უფროსნი და წოდებათა წარმომადგენელნი.

✦ დღესასწაულის გამო დღეს კავკასიის მთავარ-მართებელი აღარ მიიღებს მთხოვნელებსა და სამსახურის პირთ.

✦ პეტერბურგის გაზეთებში ვკითხულობთ: უწმ. სინოდის სხდომებზე დასასწრებლად გამოწვეულ იქმნენ მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი, კიევის მიტროპოლიტი თეოგნოსტი, ვარშავის არქიეპისკოპოსი იერონიმი და კიშინევის არქიეპისკოპოსი იაკობი, ხოლო დღემდის ვინც იყვნენ სინოდში გამოწვეულნი—საქართველოს ექსარხოსი ფლავიანე და დონის არქიეპისკოპოსი ათანასე—უკანვე დაბრუნდებიან თავიანთ სამწყსოებში.

✦ თელავიდგან გვწერენ, რომ ჩვენი მხცოვანი პოეტი თავ. რაფიელ ერისთავი მძიმედ ავათ გამხდარა.

✦ ქუთაისის სახაზინო პალატა აცხადებს, რომ დასრულდაო საადგილ-მამულო გადასახადის განაწილება ყველა მაზრებშიო და ეს განაწილება გაეგზავნა ყველა სამაზრო მმართველობათო; ვისაც ჰსურს უკმაყოფილება გამოაცხადოს განაწილებაზე, ვადა 15 იანვრამდე აქვსო.

✦ ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ ლონდონში დაარსდა სააქციონერო საზოგადოება მარგანეცის მადნების შესამუშავებლად. ახლა ამ საზოგადოებას მიუმართავს თხოვნით ფინანსთა სამინისტროსათვის—ნება მომეცი მარგანეცის მადნების შემუშავებისა და შეძენისა შორაპნის მაზრის სოფ. დარკვეთშიო. საზოგადოებას 300,000 მანეთი ჰქონია ძირითად თანხად.

✦ ტფ. საქალაქო სასწავლებელთა გამგ
კომისიას დაუდგენია—შუამდგომლობა იქმნ

გვიდგა! უსწავლელი ვიღაა? კაცს არ ვიტყვი, მე ძაღლები მინახავს, ფორტეპიანს უკრამენ! მერე როგორ? კარგი დამკვრელი ოსტატი გეგონება! ჰო, მამიჩემის ცხონებამ! მოდი და ნუ გაგიკვირდება, ძაღლი დაფორტოფიანი! ჩვენი ჰიანუა ოც და ათი წელიწადია მეზურნეა და ერთ ყაიდას ვერ დაუკრავს, როგორც რიგი და წესია! მოდი იმას კაცი დაუძახე!..

ლაზრუა. მე კი, ჩემო ძმავ, ერთი ანდაზისა მეშინიან და შენი არ ვიცი...

ნიკოლა. რა ანდაზისა?

ლაზრუა. „კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო!“.. ისე არ დაგვემართოს!

ნიკოლა. შენც არ მამიკვდე! ფიქრი იოქტურ! ღმერთი რომ ბედნიერებას უგზავნის კაცს, ორი ხელით უნდა დაებღაუჭოს. ერთის მხრით დიდი სწავლა-განათლება და ხელმოკლეობა; მეორეს მხრით დიდი ქონება და უპატრონოდ დაგდებული... ჰო, რა პატრონები არიან ძალუა ჩემი და ჩემი ბიძაშვილი სიდუა? უკაცო ოჯახი!..

ლაზრუა. ძმაოჯან, ჩემი და ბევრ ჯაგლაგ ადვოკატსა სჯობიან! (ჩაიცინებს).

ნიკოლა. ვა, ეგ ხომ ვიცი! ერთხელ ერთი ჩინოვნიკიც გაბერტყა ძალუა ჩემმა..: ეგ ვიცი, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ სწავლა-განათლებას კარგი სარჩო გაუჩნდება და სარჩოს კიდევ კარგი პატრონი! დასხდნენ და ქუდი ჰერსა ჰ რან! აი, რა ღრმა აზრი მაქვს. ერთმანეთისთვინ არიან რაღა გაჩენილები.

ლაზრუა. ღმერთმა ქნას და სანანური საქმე არ გაგვიხდეს

ნიკოლა. ლაზროჯან, ნუ კი გეწყინება, შენ გენაცვალე, და სამჯერ ზედი-ზედ როგორ ამოგირჩიეს ჰამქრის უსტაბაშად?! რა უნდა გაგვიხდეს სანანურად? მართლა ქაჯები ვართ თუ ბატის ჭუკები? ჩვენ ვეცადოთ, ყველასთან პირნათლად ვიყოთ, და თუ მრუდობა გამოერევა, მაშინ განზე, კედლებო! განათლებულ ავაზაკს გაუნათლებელი ჯიბგირი აჯობებს... გაიგე?

ლაზრუა. ეგ კი მართალია. საქმე გამოცდილებაა...

ნიკოლა. ცხონდა მამაშენი! მეც მაგას მოგახსენებ. (მარჯვნივ იყურება). მგონია, ჩვენი ყმაწვილები გამოჩნდნენ (უყვირის). ბიჭო, შაქრო! ყმაწვილები რომ მოახლოვდნენ, მეზურნეებმა „ტუში“ დაჰკრან! (გამობრუნდება).

ლაზრუა. ვინ არიან დამკვრელები?

ნიკოლა. ჰიანუაა თავის დასტით.

ლაზრუა. ბარემ ახლო დაგეძახნა?

ნიკოლა. არა, ლაზროჯან! ჯერ ერთი, დუდუკი რაც მოშორებით არის, ის სჯობიან; მეორე, ლაპარაკს დაგვიშლის და მესამეც, ჩვენ შინაურ საქმეზედ უნდა ვილაპარაკოთ, რა საჭიროა უცხო მოწმები!

ლაზრუა. ეგეც მართალია. დათებასთვინ არ გითქომს?

ნიკოლა. როგორ არა, მაშ! ერთად მოვდიოდით, მირზოვის ქარხანასთან დავინახეთ, რომ ტკვარში „ჩიჟიკა“ ბიჭს ნავი მოაქვს. დათებას გულმა ვერ მოუთმინა,—ხომ იცი იმისი გარდანქეშანი ამქავი,—ბიჭს დაუძახა ნავი ნაპირზე მოეგდო და შიგ გადახტა, ბადეს წამოავლო ხელი; „პატარას ვინადირებ ჩვენ იღბალზედაო“. მე წამოვედი, ისიც მოვა რაღა!

ლაზრუა. ხელ ცარიელი არ მოვა, მარჯვე ხელი აქვს. (უკრავენ «ტუშს». მარჯვნივ შემოდიან სიკო და პეტო ევროპიულის ტანისამოსით. ნიკოლა და ლაზრუა მიეგებებიან).

სიკო. (შლაპას უხდის). გამარჯობათ, ბატონებო!

ნიკოლა. (ქუდ მოხდილი) ყმაწვილებს გაუმარჯოს! მობრძანდით, გენაცვალეთ! (ერთმანეთს ხელს ართმევენ). ესეც ჩვენი ლაზრუ სიკოჯან, შენი სასიმამრო კაცია... ჰო, როგორ... შენი სასიდედროს ძმა რაღა!

სიკო. (პეტოზედ). ესეც ჩემი ამხანაგ

ლაზრუა. (ორივეს ხელს ართმევს). დიდ სასიამოვნოა, ყმაწვილებო, თქვენი გაცნობ მობძანდით, თქვენი ჭირიმეთ (სუფრისკენ ი ვევს). აბა, ნიკოლჯან, დატრიალდი!

ნიკოლა. დავტრიალდები და მერე როგორ გინდა, ხელად ტკვარში გადავხტე და თევზები სულ დავაფთხო? (იცინიან).

ლაზრუა. არა, კაცო, დაფრთხობა კი არ გვინდა, ჩვენა გვსურს, რომ თევზები სუფრაზედ მოვიდნენ...

ნიკოლა. მოვლენ, მე დაჩვეულები მყავნან... ხანდახან ქერს დავუყრი ხოლმე.

პეტო. (მიდამოს ათვალიერებს). რა მშვენიერი დროს გასატარებელი ადგილებია!

ლაზრუა. მშვიდობა იყოს და ბევრ ამთანა ადგილებზე გავატარებთ დროს.

აღძრული იმის შესახებ, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას ხელოვნების სკოლა და საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი სამთო განყოფილებით.

✦ გუშინ გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის თავს ქაღალდი, რომელშიაც სწერს, რომ იგი არ ეთანხმება სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველის აზრს, რომელიც წარუდგენია გამგეობისათვის და რომლის პირიც გაეგზავნა გუბერნატორს შესახებ იმისა, რომ მმართველობას პოლიციის მოხელეთ ვითომ კანონით არ შეუძლიანთ ჩარევა სავაჭრო პოლიციის საქმეებში და ნიხრის დადგენა. გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის მმართველობას—იქონიონ მხედველობაში, რომ პოლიცია ვალდებულია ყურადღება მიაპყროს ბაზრებში განგებ ფასების აწევას სანოვაგეზე და სხვ. ქალაქის თავმა ეს ქაღალდი გადასცა გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს.

✦ სამთო დეპარტამენტს გარდაუწყვეტია შეჰკრიბოს სტატისტიკური მასალა რუსეთის სამთო მუშების შესახებ და დაწვრილებით გამოიკვლიოს მათი მდგომარეობა.

✦ რამდენად ვრცელდება ტფილისში სხვა-და-სხვა გადამდები სენი სჩანს იქიდან, რომ ნოემბრის განმავლობაში ავად გამხდარა ამ გვარ სენებით 59 კაცი; მათგან: სახადით—6, ყელჭირვებით—1, ყვავილით—2, დიფტერიტით—15 და ქუნთრუშით—35 კაცი..

✦ ხვალ, 7 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე სიღნაღის მაზრის, ქოდალოს ნაწილის ბოქაულის თავ. ჯავახიშვილისა და ბოქაულის თანაშემწეე ნამყოფის მეფისაშვილისა, რომელთაც ბრალად ედებათ სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

✦ გორის მაზრის ცხინვალის საბოქაულოში მეტად გავრცელებულა ქუნთრუშა. გაიგზავნა ექიმი ზომების მისაღებად.

✦ გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამბავი არტელშჩიკი როდინოვის გაძარცვის შესახებ როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, როდინოვი ძალიან მსუბუქად არის დაჭრილი, და ეჭვი დაებადათ, რომ მას არავინ არ დასცემია თავს. ჯერ-ჯერობით აღმოჩნდა, რომ მას დაჰკლებია 1500 მანეთზე მეტი, რომელიც, როგორც ეჭვობენ, თვითონ მას შემოჰხარჯვია.

✦ ტფილისის საგუბერნიო ხაზინადრის თანაშემწე ბ-ნი ნელეპო დაინიშნა ტფილისის ხაზინადრად.

✦ დღეს ტფ. საკადეტო კორპუსში გაიმართება ბალი, რომელიც 8 ნოემბერს უნდა ყოფილიყო და რომელიც გადადებულ იქმნა დღეისთვის ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის გამო.

✦ „ნოვ. ობოზრენიე“-ს გაუგონია, რომ კავკასიის სამთო მმართველობას გადაუწყვეტია დაავალოს მარგანეცის მრეწველთ, რომ მათ უთუოდ მოაწყონ მაღნებში ჰაერის გასაწმენდად ვენტილიაციები.

✦ 5 დეკემბერს, აღსტაფასა და ტატლუს შუა, როცა მუშა მატარებელი № 230 აღმართს შეუდგა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი შეჰხტნენ ვაგონზე, მოჰგლიჯეს მას ბეჭედი და გამოიტანეს 9 ცალი გრაფიტი. უფროსმა კონდუქტორმა შეამჩნია ეს, მაგრამ, რადგან მატარებლის გაჩერება შეუძლებელი იყო, ვერ გამოუდგა ბოროტ-განზრახველთ.

✦ 5 დეკემბერს სადგურ კოვლიარსა და ტაუხს შუა, არდაგანის ქვეითა რაზმის სათადარიგო ჯარის კაცი ევი განდელანი, რომელმაც მუშა-მატარებელზე (№ 249) შეხტომა მოინდომა, მოჰყვა ქვეშ და ფეხები დაუშავდა. დაშავებული აღსტაფის ქსენონში გაგზავნეს.

პროვინცია

აფხაზეთი. არც ერთი კუთხე საქართველოსი, მგონია, არ არის ისე უკან ჩამორჩენილი სწავლა-განათლების მხრივ, როგორც ჩვენი ტურფა აფხაზეთი; ან და რის მხრივ არა ვართ ჩვენ უკან ჩამორჩენილნი? როგორც უკანასკნელი აღწერის დროს გამოირკვა, მთელს აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) 110 ათასი მცხოვრები ითვლება, და აი ამოდენა ხალხი, მოფენილი 6420 კვადრატულ ვერსზე, თითქმის სრულიად მოკლებულია სწავლა-განათლების ცხოველ მყოფელის ზედგავლენას. «თითქმის» ვამბობ იმიტომ, რომ ის ოციოდე პირველ დაწყებითი სკოლა, რომელიც ჩვენში არსებობს, წვეთია ჩვენს ცხოვრებაში და არ შეუძლია დააკმაყოფილოს მცხოვრებთა სურვილი სწავლისადმი. რაც შეეხება საშუალოს, ანუ დაბალს სკოლას, მთელს ოლქში ერთად-ერთი ქალთა პროგიმნაზიაა ქ. სოხუმში. ამ უკანასკნელ წლებში ხალხში უცბად, თითქოს მოულოდნელად, გაიღვიძა სწავლა-განათლების შეძენის სურვილმა, ეს იმ ხალხში, რომელიც ოც-ოცდაათ წლის წინად სწავლას ისე უყურებდა, როგორც არა სასურველს აუცილებელს ბეგარას, გარდასახადს და იმ ორიოდ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა მოისურვებდა ორი სამი აფხაზის გამოზრდას, საზოგადოება იძლევოდა უჭირისუფლო, უპატრონო ბავშვებსა და მით თავის შვილს აცილებდა ამ «უბედურებას». ეხლა კი გონს მოვედით და წარა მარა თხოვნას თხოვნაზე ვგზავნით: გვიშველეთ, დაგვიარსეთ საშუალო სკოლა და სხვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი უთავბოლობის გამო ჯერ-ჯერობით ჩვენი თხოვნები უყურადღებოდ არის დარჩენილი.

ადგილობრივ საზოგადოებას დიდი იმედი ჰქონდა ქალაქ სოხუმის თვით-მმართველობისა, რომ აფხაზეთის თავად-აზნაურობას წინ წაუძღვებოდა და საერთო ძალით აღძრავდნენ თხოვნას სადაც ჯერ არს და საშუალო სკოლას დაგვიარსებდნენ.

ვერც თავად-აზნაურობა დაუხვდა მხნედ ამ საქმეს. ისიც ჩვეულებრივ ორი-სამი თხოვნით დაკმაყოფილდა მაშინ, როდესაც სულ ადვილად შეიძლებოდა ამ საქმის განხილვა, და აი როგორ: მკითხველმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას აქვს ცოტაოდენი ფულიც; ეს ის ფული გახლავთ, რომელიც თავად-აზნაურობამ მიიღო გლეხთა განთავისუფლების დროს. აი ამ ფულის ნაწილი დღესაც ჩვენთვის დაკარგულია, ერთი ნაწილი კი სოხუმის ქალთა პროგიმნაზიას მოხმარდა. დანარჩენი ნაწილი კი 1880 წ. შეადგენდა, როგორც გადმოგვცეს, 100 ათას მანეთს. დღეს ეს ფული, თუ მართლა არაა ჩვენთვის დაკარგული, 200 ათას მანეთამდის ადის. ამას ზედ დაურთეთ სოხუმის სამთო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვაც, (10,000 მანეთი წლიურად) რომლის შენობაც ამავე საგანს მოხმარდებოდა. ქალაქ სოხუმიც გამოიღებდა თავისს წვლილს, და საქმე ადვილად გაჩაღდებოდა. *) მაგრამ ჩვენში ისეთი კაცი არ არის, რომელსაც გული ეწვოდეს საზოგადო საქმისადმი. ის ორიოდე კაცი, რომელნიც იყვნენ საზოგადო მისწრაფებით გამსჭვალულნი, მიიფანტ-მოიფანტნენ... დანარჩენნი კი თავის საკუთარს საქმეს ჩაჰკირკიტებიან, და მათ საპირადო საქმეთა გარეშე, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა.

როგორც სხვა მთიულთათვის, ჩვენ აფხაზთათვისაც არსებობს ქ. სტავროპოლის გიმნაზიაში (იმიერ კავკასიაში) ექვსიოდ სტიპენდია, მაგრამ ამითაც ვეღარ ვსარგებლობთ: თითქმის ნახევარი ჩვენებურ მოსწავლეთა აქაურს სასტიკ ჰავას ვეღარ იტანს და უდროო-დროს, სწავლის შეძენის მაგიერ, ესალმება წუთი-სოფელს! და ამიტომაც, გაიხსნა თუ არა ბათომში ვაჟთა გიმნაზია, ადგილობრივ თავად-აზნაურობამ აღძრა შუამდგომლობა, რათა ჩვენი სტიპენდიები გადმოტანილ იქმნას სტავროპოლიდან ბათომში, მაგრამ ამასაც, როგორც ყველა ჩვენს საქმეებს, ბოლო არ უჩანს.

ასე თუ ისე, ჯერ-ჯერობით მთელი ოლქის მცხოვრებნი შევყურებთ მარტოდ მარტო პირველ დაწყებით სკოლებს, რომელთ შესახებაც მსურს აქ ცოტა დაწვრილებითი ცნობები მოვიყვანო.

პირველი *) საერო სკოლა, რომელიც გაიხსნა აფხაზეთში ჯერ ისევ მთავარ ჭამუთ-ბეი (მიხაილ) შერვაშიძის დროს, იყო სოხუმის ორკლასიანი მთიულთა სკოლა (Горская школа), დაარსებული 20 ოქტომბერს 1859 წ., და აი მთელი ოლქი ამ ერთად ერთს სკოლას, რომლის პროგრამაც არ აღემატება ორკლასიან ნორმალურ სკოლის პროგრამას, შეჰყურებდა 1885 წ. ამ წელს კი დაბა ოჩემჩირეში ადგილობრივ მცხოვრებთ გახსნეს ერთკლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლა, ეხლა უკვე ორკლასიანად გადაკეთებული. 1891 წელს მთავრობამ სოფელ ალექსანდროვკაში ბერძენ მეახალშენეთათვის გახსნა ორკლასიანი სკოლა, 1892 წ. კი დაბა გუდაუთაში დაარსა ერთკლასიანი სკოლა. ამის შემდეგ სკოლების გახსნა შეჩერებული იყო 1896 წლამდის და ამ წლიდგან ზედი-ზედ სხვა და სხვა სოფლებში გაიხსნა რამოდენიმე სკოლა ზოგი საზოგადოებათა ხარჯით და მეტი ნაწილი კი—საერობო ხარჯით. დღეს მთელს ოლქში ითვლება 28 პირველ დაწყებითი სკოლა და ერთი პროგიმნაზია ქალთათვის, რომელთ 1899 წელს დაეხარჯათ 35,428 მანეთი, აქედგან პროგიმნაზიას 7,538 მ., სამთო სკოლას 10,575 მ. და დანარჩენ 27 სკოლას კი დაუხარჯავთ 17,315 მანეთი. სკოლათა რიცხვზე რომ გავყოთ მცხოვრებთა რიცხვი, გამოდის, რომ ერთი სკოლა მოდის 4-ათას მცხოვრებზე, ანუ ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე ეს საჭიროდ ცნობილიყო ასის წლის წინედ საფრანგეთში: ერთი სკოლა ათას მცხოვრებზე. დაახლოვებით ერთ სკოლაზე მოდის 570 ბავშვი სასკოლო ჰასაკისა.

გასულ წელს კი ორთა შუა რიცხვით ერთს სკოლაში სწავლობდა 44,8 მოსწავლე. ყველა ზემოხსენებულ სკოლაში სწავლობდა 1302 ბავშვი, მათგან ვაჟი 952, ქალი 350. საანგარიშო წელს (99) სკოლებზე დახარჯული ფული მცხოვრებთა რიცხვზე რომ გავყოთ, მოდის თითო სულზე 32,2 კაპეიკი!

სამწუხაროდ ისედაც მცირე რიცხვი სკოლათა მცხოვრებთა შორის თანასწორად არ არის განაწილებული: მეტი წილი მათი მოახალშენეთ ერგო. მთელს სამურზაყანოში კი, სადაც 50-ათასზე მეტი მცხოვრებია, მხოლოდ სამი სკოლაა მაშინ, როდესაც სამურზაყანო შეადგენს მთელის ოლქის ნახევარს! ამ რიგად 17-ათას სამურზაყანოელზე ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა მოდის, ანუ ერთ სკოლაზე 2340 სასკოლო ჰასაკის ბავშვი განს, მკითხველო, გასაკვირველია ამისთანა ქვეყანაში ცრუ მორწმუნეობას ღრმად ფესვი ჰქონდეს გადგმული?

თუმცა სამრევლო სკოლები მეტია აქ, ვიდრე საერობო სკოლები, მაგრამ მათი ნაყოფი საეჭვოა ჯერ—ჯერობით მაინც, რადგანაც ორიოდ-სამიოდის გარდა, არც ერთს ხეირიანი მასწავლებელი არა ჰყავს. საზოგადოდ ეს სკოლები ასცდნენ თავისს ნათელ გზას...

ჭამუთ-ბეგ.

---

*) ამავე საქმისათვის დიდად პატივცემული ს. იოსელიანიც დიდს შემწეობას გვპირდებოდა, მაგრამ ჩვენ ველარ მოვიხმარეთ.

**) სამრევლო და აგრეთვე კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოკადოების სკოლების შესახებ ცნობების უქონლობის გამო იძულებული ვარ გავჩუმდე.

პატარა ფელეტონი

ქართული სათავად-აზნაურო თეატრის ელექტრონი კვლავ დაუსინათლოვდა წა-

---

ნიკოლა. (ლაზრუას) აბა, ძია-ჯან, ყმაწვილები არ მომიწყინო, მე ხელად სარისტას მივცემ (ჩქარა მიდის).

სიკო. მაშ თქვენ, ბატონო, ქალის ბიძა ბძანდებით?

ლაზრუა. ღვიძლი. სიდონია ჩემი დისწულია (მიიწვევს). დაბძანდით, ბატონებო! სამსე სუფრაზე ჯდომა უფრო სასიამოვნოა თვალისათვის, ვიდრე... (დასხდებიან).

პეტრ. (ღიმილით) მგონია, უფრო კუჭისთვის უნდა იყოს სასიამოვნო...

სიკო. მაგას რაღა თქმა უნდა!

ლაზრუა. მოგვიტევეთ, ბატონებო, იქნება სათქვენო სუფრა არ იყოს... რა ვქნათ უბრალო ხალხი ვართ... მაგრამ წმინდის გულით კი მოგართმევთ, რაც გვაბადია.

სიკო. რა ბძანებაა! განა საქართველოს შვილს ამაზე ეთქმის რამე? რამდენჯერ მოგვიგონია ამისთანა დროს გატარება სადღაც გადაკარგულს ქვეყნებში!.. რას იტყვი, პეტრო?..

პეტრ. ამისთანა სუფრა კი არა, თვეში ერთხელ ვერა ვჭამდი მძღარ სადილს...სწორედ ღირსნი ვართ მე და ჩემი მეგობარი, რომ წმინდანებად შევირიცხოთ. ნახევარზე მშივრები ვიყავით.

ლაზრუა. მერე, შე დალოცვილო, ჩვენ რომ ხშირად ვქეიფობთ, რა გამოვიდა? ისევ შიმშილი სჯობია ჰკუის სიღატაკეს!

პეტრ. მართალია, თავის სიცარიელე არ არის კარგი, მაგრამ არც კი ჯიბისა გახლავთ სასიამოვნო!

ლაზრუა. ვინ ამბობს... (ნიკოლა შემოდის).

ნიკოლა. მზადა ვართ. აბა ეხლა კი შევაბათ გუთანი! პური გატეხეთ და! (პირჯვარს იწერს და პურს სტეხავს) ღმერთო, ჰალალად შეგვარგე. აბა, ლაზრო-ჯან, ერთი უფროსობა გაგვიწე! (ღვინოს უსხამს ყველას. შექცევიან).

ლაზრუა. დათებას არ დავუცადოთ? არ ეწყინოს.

ნიკოლა. რის ეწყინოს! საცაა, მოვა. ეხლა დავინახე, თავისს ნავს მოაგორებდა.

ლაზრუა. (ჭიქას იღებს) იცოცხლეთ და გაგიმარჯოთ ღმერთმა, ყმაწვილებო! ღმერთმა ინებოს და ბოლო კეთილი ჰქონდეს ჩვენ საქმეს, სანანური არ გაგვიხდეს! (სვამს).

სიკო. საქმის ავად და კარგად წაყვანა ჩვენ ხელთ არის და თუ ჩვენ მოვინდომებთ, იმედია, რომ საქმე კარგად წავა. იცოცხლეთ! (სვამს)

პეტრ. ღმერთმა ბედნიერად დააბოლოვოს თქვენი მოსაზრებული საქმე. (სვამს)

ნიკოლა. ყმაწვილებო! თქვენი ძმობა და მეგობრობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! (სვამს). ეხლა მოდი, ძმურად მოვილაპარაკოთ. ქვეყანაზე ყველაფერი ბედია. ეს ყმაწვილი გავიცანი; ამას ქალი მოეწონა, ჩემი ბიძაშვილი სიდუა, და საქმეც თავ-ქვე დაეშო... არხეინად თავის თავად მიგორამს; მაგრამ გზის გაწმენდა კი ჩვენი საქმეა, რომ ოღროში არ გადაიჩეხოს. აქ ყველანი შინაურები ვართ, დასამალავიც არაფერი არა გვაქვს, პირიქით... ჩემი ბიძაშვილი უმანკო და უზადო გოგოა, ცხრამეტის წლისა. თითონ გინახავს, ხელმწიფის საკადრისია. იმისი შეძლება ოთხი ათას თუმნად არის დაფასებული...

ლაზრუა. სახლის მოწყობილობა, ავეჯი, სამკაული კიდევ სხვაა... ნაღდი ფულიცა აქვთ.

ნიკოლა. დიაღ, დიაღ, ნაღდი ფულიცა აქვთ. ორი ადამიანია —დედა და შვილი.

ლაზრუა. მამული სრულებით უვალოა.

ნიკოლა. ვალი! გროში, ცალი ფული!... ეს არის. ამ ქონების პატრონი ლამაზი ქალი, მგონი, ღირსია, რომ კარგი ქმარი შეირთოს. ეს არის ჩვენი სიტყვა.

სიკო. მე ისე ქონების მიმდევარი არა ვარ, როგორც კარგის ოჯახისა და ხალხისა, ამისათვის საჭიროა ჩემთვის, ახლო ვნახო ის, რაც შორიდან მინახავს და გამიგონია.

ნიკოლა. როცა გნებავს, დღესვე! აქედან პირდაპირ ვახშმად წავიდეთ შინაურულად და... თუ უკეთესი ნახო იმაზედ, რაც გაგიგონია?

სიკო. მაშინ სიტყვა აღარა მაქვს. დიდი მოხარული ვიქნები....

ნიკოლა. საქმეც გათავებული?

სიკო. რასაკვირველია.

ა. ცაგარელი

(დასასრული იქნება)

რსულს კვირას, რომლისა შემდგომათ არტისტნი ჩვენნი მეყსეულად მიეცნენ განცხრომასა და მოსვენებასა. ხოლო ჩვენი დრამატიული საზოგადოება ინახითა მჯდომარე იხოკს პირსა თვისსა და ცრემლითა ნიანგისათა ჰბანს გაწმენდილსა ჯიბესა თვისსა. მოთქმა მისი ბანსა უწყობს დალსკისა ქვითინს, რომელი ექსორია ქმნულ იქმნა უსინათლო ელექტრონისა მიერ რუსეთისაკენ, და მთრთოლვარე ხელი მისი აწ უწყობს ჯიბესა დედინცევისასა ყოვლისა ჩამქრალსა ელექტრონში ასსა ქანქარსა. ჰოი, საკვირველთ მოქმედებავ, რომელმან მას ჟამსა შინა ხუთითა პურითა განაძღე ხუთი ათასი კაცი და თორმეტი გოდორიცა ნასუფრალიდან შეკრიბნე. აწ გადმოხედე დედინცევისა ოთხმოცსა მსახიობს და აკმარე ასი იგი ქანქარი უუიათესსა ტფილისისა „გასტინიცებში“. ნუ გაუყენებ მას გზასა დალსკისასა! უწყის ყოველმან გულთა მხილავმან, რაოდენ ტრაგიკულია მსხვერპლი ჩვენის დრამატიულის კომიტეტისა. იმედი მისი და სასოება განწმენდილისა ჯიბისა დამყარებულ არს მხოლოდ ერთსა ულვაშსა ზედა, რომელსა არა აკრავს არცა ბეჭედი ხელთ ქმნილი და არცა აზის კალამი ნოტარიუსისა. ხოლო უხილავი იგი კონტრაქტი იწოდების ძველებურისა ქართველურისა ენით ნამუსად. მისსა სახელითა ტრაგიკულმან კომიტეტმან ლაღად ჰყო თავად-აზნაურთა მამულის კომისიას და სთხოვა მომიმთელე წყლული იგი, რომელიცა შენისა მეოხებითა დააჩდა გულსა ჩემსაო. ხოლო ამ უკანასკნელმა მკვახედ „უატკაზურა“, ვინაიდან ხელსა შენსა არა არს წერილობითი საბუთი ჩვენდა მომართ,—რომელთა ძალით ელექტრონი არ უნდა დაუსინათლებულიყოო. სჩანს რომე ამა მამულისა კამისიას კვალად ელექტრონისა სიბნელისა იმედი აქვს, როდესაც იგი კომიტეტთან ერთათ წარსდგება სამსჯავროსა შიგან, ვინაითგან სიბნელეში არა გამოჩნდების არცა ძველებური ჩვენებური ულვაშ-თამასუქი და არცა ცრემლები კომიტეტისა.

* * *

ვაი ულვაშზე დაწერილო თამასუქო! და მოლოდეც შენ, ჩვენო ტფილისო, შენის ლეგიონ «სპრაოჩნის კანტორების» ხელში. არ არის დედამიწისა ზურგზე, შემდგომათ რომის პაპის ინდულგენციებისა, მათისა სახის დაწესებულებანი! იყო ვინმე კაცი, როგორც გვასწავლის «ნოვ. ობოზ.», რომელსაც უნდოდა სასიამოდ თავისა და საპატრონოდ ოჯახისა კაცი მოსამსახურე. მიჰმართა მან ერთსა „სპრ. კანტორასა“ და მოიპოვა იქიდან სასყიდლით „ლაქია“, ხოლო ამა ლაქიამა მოიპოვა პატრონისა თვისისა სახლში ძვირფასი ნივთეულობანი, მიიქცა თვისად და დასვა „ხოზეინი“ თვისი მტირალი. გულგაუტეხელმა მეოჯახემ კვალად მიჰმართა საინდულგენციო კანტორას და გამოიყვანა იქიდან მხევალი, როგორც „გუვერნანტკა“ ასულისა თვისისათვის. მაგრამ ვაი მის თვალებს, როდესაც მხევალი იგი გამოდგა ფრიად განსწავლული სიბრძნითა მრავალნაირითა. მან პირველსავე დღესვე ასწავლა ასულსა თვისის ბატონისასა თვალებისა შეღება, წარბებისა გალესვა, ხოლო მეორე დღეს გაკვეთილი ქუჩაზედა გადაიტანა და სარკმელიდან ასულსა სათუთსა აჰვრეტინა ვითარ ლამაზნი არიან ყმაწვილნი მოსეირნენი. აქ კი შეაყენა იგი ბატონმა თვისმა, აღარ გასაჯა მესამე გაკვეთილზე და გამოისტუმრა გარედ. შემოკრბით ყოველნო ქურდნო ქვეყანისანო, და მხევალნო საგუვერნანტკონო, მღებავნო თვალებისანო, შემოკრბით ტფილისისა „სპრავოჩნი კანტორებში“ და მიიღებთ თქვენ უშესანიშნავესსა ინდულგენციებსა, მოწმობას სიპატიოსნისასა, რომლისა შემდგომად იგივე კონტორები გაგიღებენ სამოთხისა კარებსა...

ილი

სასამართლო

გაზეთის პროცესი

გუშინ, 5 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ, პალატის უფროს თავჯდომარის ბ-ნ ვრასკას თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე გაზ. „კვალის“ რედაქტორის ანასტასია მიხეილის ასულის თუმანიშვილ-წერეთლისა, რომელსაც ბრალად ედებოდა, სასჯ. დებულ. მე-1039 მუხლის თანახმად, ასკანის საზოგადოების ყოფილ მწერლის ყარამან გიტოს ძის ნინიძის შესახებ გაზეთ „კვალში“ კორესპონდენციის დაბეჭდვა, რომელშიაც ვითომც ცილწამებულ იყო ნინიძე.

მოკლედ ამ საქმის გარემოება შემდეგია: 1899 წლის „კვალის“ მე-38 №-ში მოთავსებულია სოფელ ასკანიდან (გურია) გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით:

„ახლანდელი ჩვენი მამასახლისი მხოლოდ კანცელარიის და საზოგადოების მორთულობაა—დეკორაციაა და მწერალის იარაღი-სხვა არაფერი. როგორც დედოფალას აგრე ათამაშებს მწერალი ჩვენს მამასახლისს, როგორც უნდა ისე ახტუნებს. სამაგიეროდ თვით მწერალი ხალხის ცარცვაში და მწერლური ხრიკების შესწავლაში ძლიერ შორს წავიდა; ცნობილ მოსე მწერალს მან გასწრო და განსაკუთრებული, ახალი სოფლის მწერლის ტიპი შექმნა. ასე რომ განსვენებული ნინოშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ახალ ნაწარმოებს შეჰმატებდა შემდეგის სათაურით: „ყარამან მწერალი“. ეს ვაჟ-ბატონი მწერლის ქერქი ვეღარ ეტევა და ახლა უნდა ბარემ მამასახლისის ქერქშიაც გაეხვიოს, რასაკვირველია ფორმალურად, ამიტომ მომავალ სამამასახლისო არჩევნებზედ ფიქრობს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს. მაგრამ არა ვფიქრობ, ჩვენ საზოგადოებას, რომელიც წინედ ცნობილი იყო, როგორც შეგნებულად მომქმედი, ისე დაებნეს დავთარი, ისე დაჰკარგოს თავისი ინტერესების შეგნება, რომ მტერ მოყვარე ველარ გაარჩიოს“. ხელს აწერს მეხა ფარელი.

ამ მეხა ფარელს პასუხი უგო ასკანის საზოგადოების მამასახლისმა იმავე წლის მე-42 ნომერში, სადაც მწერალს ამართლებს და ამბობს, რომ მწერალი იმდენად საზოგადოების სასარგებლო კაცია, რომ საზოგადოებამ ჯამაგირად წელიწადში 100 მანეთიც კი მიუმატაო. საპასუხო წერილი გამოუგზავნია „კვალში“ ნინიძესაც, მაგრამ, რადგანაც რედაქციას მამასახლისის პასუხი საკმარისად უცვნია, ნინიძეს წერილი აღარ დაუბეჭდია. ამის გამო ნინიძეს საჩივარი შეუტანია 1899 წ. 2 დეკემბერს მთავრობასთან და აცხადებს, რომ „კვალის“ რედაქტორმა ჩემს შესახებ წერილი დაბეჭდა, რომლითაც ჩირქსა სცხებს ჩემს სახელსა და ღირსებას, რადგანაც იმისთანა ხრიკოსნად ვარ გამოყვანილი მე, რომ მამასახლის ჩემს გემოზე ვათამაშებ და ჩემი მოქმედებით ვითომ ზღაპრულ „მოსე მწერალსაც“, რომელიც გამოყვანილია „ვიღაც ნინოშვილის“ თხზულებაში, კი გადავაჭარბეო და ამიტომ ვსთხოვ მთავრობას პასუხისგებაში იქმნეს მიცემული ქ-ნი ან. თუმანიშვილ-წერეთლისა ცილის წამებისათვის და დაისაჯოს თანახმად სასჯ. დებ. მე-1039 მუხლისაო.

ბრალდებულის ვექილმა გ. გვაზავამ სასამართლოს სთხოვა ბრალდებულის გამართლება, რადგანაც ამ კორესპონდენციაში მოყვანილი გარემოება მხოლოდ სასჯ. დებ. მე-1040 მუხ. ძალით შეიძლება განხილულ იქმნასო და მაშინ პასუხს აგებს თვით ცენზორიო; ამასთანავე დიდი ხანია ბრალდებული ამ გაზეთის რედაქტორად და საზოგადოებაში არამც თუ საყვედური ვისგანმე, არამედ ჯეროვანი ყურადღებაც დაიმსახურა გაზეთის საქმის კარგად წაყვანითაო. ან. მ. თუმანიშვილ-წერეთლისამ განაცხადა, რომ ამ საქმეში დამნაშავე არა ვარ მით უმეტეს, რომ, როგორც თვით ნინიძე ამბობს, მე მას არ ვიცნობდი და, მაშასადამე, მიზანი არა მქონია რა მის შესახებ ცილის წამებითი კორესპონდენცია დამებეჭდა. ხოლო ასეთი საქმე ყოველთვის შესაძლებელია, რადგანაც გაზეთის ბეჭვდა ნაჩქარეულად მასალების გადათვალიერებას თხოულობს და ამისგან მომსვლია შეცდომაო. ნინიძემ თავის სიმართლის დასამტკიცებლად წარადგინა მამასახლისისგან მიღებული მოწმობა 150 სოფლის კაცისაგან ხელმოწერილი ქაღალდი და სხვა, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ იგი არასფერს ცუდ საქმეში არა ყოფილა შემჩნეული.

სასამართლო პალატამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ქ-ნი ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა და გარდაუწყვიტა ჯარიმად 100 მანეთი, ანუ, თუ ჯარიმის გადახდას ვერ შესძლებს, 2 კვირის ვადით დაპატიმრება. ბრალდებულს საქმე სენატში გადააქვს.

—

წარსულ კვირაში ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ განიხილა საქმე გენერალ ალექსანდრე ბ. ბუქყიაშვილის და მის მსახურად ნამყოფის ივანე ლევანის ძის ზაქარაშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან გულმოსულად უთხრა ბ. ბუქყიაშვილს „ТЫ“ და მით შეურაცხყოფა მიაყენა. როდესაც დაჭერილი ჯამაგირის ასაღებად მივიდა მოსამართლემ წინადადება მისცა მხარეთ შერიგებულიყვნენ, მაგრამ ალ. ბუქყიაშვილს არ უქნია. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოცხადდა განაჩენი, რომლითაც უყურადღებოდ იქმნა ბ. ბუქყიაშვილის საჩივარი დატოვებული და ზაქარაშვილი გამართლებული.

სალამოს დეპეშები

5 დეკემბერი

მასერუ. დევეტი ორი თუ სამი ათასი კაცით კვლავ გაჩნდა ტაბანჩუს მიდამოებში და იერიში მიიტანა ლამბერგზე და ვარინგამსტორზე და თავს დაესხა სამჯერ ბრიტანელ ჯარებს. მესამეჯერ იერიში მიიტანა თვითონ დევეტმა და გააპო მტრის ჯარი.

ინგლისელებმა წაართვეს მათ ერთი ზარბაზანი და თხუთმეტი ფურგონი, დატვირთული სამხედრო მასალით, დინამიტით და სურსათით. ბურების მეორე რაზმი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა ტაბანჩუსკენ გაეკაფა გზა, უკუგდებულ იქმნა. გაასბრუკი, რომელიც ცდილობდა გზა გაეკაფა სპრინგკანტზე, დამარცხებულ იქმნა; მას მოუკლეს და დაუჭრეს ორმოცი კაცი.

ბერლინი. გერმანიის კონსული მალაგაში იტყობინება, რომ გემზე „გეიზენაუ“ დაიღუპა, ალბათ, 38 კაცი, მათ შორის გემის უფროსი კრეჩმანი. უფროსი აფიცერი ვერნინგაუზი და უფროსი ინჟენერი პრიუფერი.

ლონდონი. როგორც ხმა არის, მოსულა დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ დიდი ბრძოლა მომხდარა ბურების რაზმთან, რომელიც 2000 კაცისგან შესდგებოდა და რომელიც ამას წინად შეჩერებული იყო ვიწრო ხეობაში სამხრეთით. ბრძოლა რამდენსამე საათს გაგრძელდა. ბურები ორანჟეს მდინარეზე სრულიად დამარცხებულ იქმნენ ინგლისელებისაგან; მათ ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს, ბევრიც ტყვედ წაიყვანეს.

ნიუ-იორკი. პეკინიდგან იტყობინებიან, რომ ინგლისის ელჩი სატოუ თხოულობს შეცვლას საერთო ნოტის ერთის მუხლისას ეს ნიშნავს მოლაპარაკების შეჩერებას, რადგანაც ელჩები კვლავ უნდა დაეკითხნენ თავიანთ მთავრობათ. ელჩები არ იძლევიან არავითარ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ცვლილებას თხოულობენ სხვა და სხვა სახელმწიფოები, მაგრამ აღიარებენ, რომ მათის მეოხებით მოლაპარაკება ისევ გაგრძელდება.

პეკინი. ლიხუნჩანგი ავად გახდა ინფლუენციით; მას სწამლობს გერმანიის საელჩოს ექიმი.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

იგალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექსე ნაწილი სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს 58 წ.

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისადან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Декабря 1900 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.